

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65

21 აგვისტო 2019 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტყარაძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი:

*ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.
შალვა ლორთქიფანიძე - საკრებულოს წევრი.*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე”

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისრითში დამისამართებულ N1 ქუჩისთვის (N1 ჩიხი) გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების თაობაზე

მომხს: გიგა გოგიბერიძე

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების ჩამონათვალი და განკარგულების პროექტი.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს და საკითხი მზადაა საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის შალვა ლორთქიფანიძის ინიციატივა ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისრითში დამისამართებულ N1 ქუჩისთვის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელმა სიტყვა გადასცა შალვა ლორთქიფანიძეს რომელმაც ვრცლად ისაუბრა გრიგოლ ლორთქიფანიძის ღვაწლზე და იმ დამსახურებაზე და აღნიშნა რომ იმ ქუჩისთვის სადაც ცხოვრობდა ბატონი გრიგოლ ლორთქიფანიძე, მისი სახელის მინიჭებით დაფასებული იქნება მისი ღვაწლი რაც მას გააჩნდა სამშობლოს წინაშე.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს რას დაადასტურეს გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის დასკვნაზე ხელის მოწერით .

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი 3/

დაადგინეს: აღნიშნულის შესახებ ეცნობოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე